ქალაქ თბილისის
მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ებ ა № 121

29 მარტი
"---" -------- 2024 წ.

ქ. თბილისი

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიულ პირს - ქონების მართვის სააგენტოსა და შპს „ნექსუსს" (ს/ნ. 405263646; უფლებამონაცვლე: შპს „ილიარდი" (ს/ნ. 205278386)) შორის 2020 წლის 05 ნოემბერს გაფორმებული პირობებით გამოცხადებული აუქციონის №ე-548-1-25622 ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობის გაუქმების საკითხის შეთანხმების თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის - „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 75-ე მუხლის „დ.ზ" ქვეპუნქტის, 127² მუხლის, „თბილისის მუნიციპალიტეტის ქონების აუქციონის ფორმით პრივატიზების წესის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 22 დეკემბრის №19-72 დადგენილებით დამტკიცებული წესის 24-ე მუხლის მე-9 პუნქტის საფუძველზე, ასევე, „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიულ პირს - ქონების მართვის სააგენტოსა და შპს „ნექსუსს" (ს/ნ: 405263646; უფლებამონაცვლე: შპს „ილიარდი" (ს/ნ. 205278386)) შორის, 2020 წლის 05 ნოემბერს გაფორმებული პირობებით გამოცხადებული აუქციონის №ე-548-1-25622 ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობის გაუქმების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2024 წლის 13 მარტის №24.407.453 განკარგულების საფუძველზე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. გაუქმდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიულ პირს - ქონების მართვის სააგენტოსა და შპს „ნექსუსს" (ს/ნ. 405263646; უფლებამონაცვლე: შპს „ილიარდი" ს/ნ. 205278386) შორის გაფორმებული პირობებით გამოცხადებული აუქციონის №ე-548-1-25622 ხელშეკრულების „გ" ქვეპუნქტით გათვალისწინებული პირობა - „მიწის ნაკვეთის განვითარება განხორციელდეს მხოლოდ სარეკრეაციო პირობით", იმ პირობით, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს მიერ ამ განკარგულების საფუძველზე შესაბამისი სამართლებრივი აქტის გამოცემიდან არაუგვიანეს 6 (ექვსი) თვის ვადაში შპს „ილიარდი" (ს/ნ. 205278386) უზრუნველყოფს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შესაბამის ანგარიშზე 390 777 (სამას ოთხმოცდაათი ათას შვიდას სამოცდაჩვიდმეტი) ლარის გადახდას.

2. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე — გიორგი ტყემალაძე